მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ნა, IV სადარბ. VII სართ.
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№62, თბილისი, 0162
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

№ _04/09-37_____

"_8_" _ოქტომბერი__ 2007

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ცხაკაიას

ბატონო გიორგი,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ განმარტებები ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

1. ა.წ. 5 ოქტომბერს ჩვენი 2007 წლის 25 სექტემბრის წერილის საპასუხოდ მივიღეთ თქვენი 2007 წლის 3 ოქტომბრის №05/02-16/2657 წერილი, რომელშიც არასრულყოფილად არის წარმოდგენილი ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, ჩვენ ვითხოვდით დასაბუთებულ განმარტებებს 2007 წლის 6 აგვისტოს მწვანე ალტერნატივას მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინგეო ტრედის" მინერალური ნედლეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯეოსთილის" მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული შენიშვნების გათვალისწინების/ გაუთვალისწინებლობის თაობაზე (გთხოვთ, იხილოთ დანართი I). თქვენს, 2007 წლის 3 ოქტომბრის №05/02-16/2657, წერილში (გთხოვთ, იხილოთ დანართი II) არ არის წარმოდგენილი მსგავსი განმარტებები. ამრიგად, გთხოვთ, გამოასწოროთ აღინიშნული ხარვეზი;

2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შპს "ენტო"-ს მცირე ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ინდ. მეწარმე 'ზურაბ გოგრიჭიანის" – გაჯის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შპს "რკინის ჯვარის" - გაჯის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და ინდ. მეწარმე "ივანე გავაშელიშვილის" - გაჯის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ელექტრონული ვერსია. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ შენიშვნებისა და კომენტარების წარდგენის ვადები.

3. თქვენი 2007 წლის 3 ოქტომბრის №05/02-16/2657 წერილის თანახმად, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერზიტა ჩაუტარდა ასოციაცია "ატუ"-ს, შპს "ბურჯი"-ს და შპს "არომატი"-ს მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და უკვე გაიცა შესაბამისი ნებართვებიც. ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული შპს "ანგლო მესხეთი"-ს მიერ წარდგენილ სანებართვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 16 ივლისს მოგმართეთ წერილით (იხილეთ დანართი III), რომელშიც ვითხოვდით

აღნიშნულ საქმიანობებზე სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში ჩართვას. ასევე შეგახსენებთ, რომ ზემოთხსენებული წერილის საპასუხოდ თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილში (იხილეთ დანართი IV) თქვენ აღიშნავდით, რომ ამ ობიექტებზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება ჯერ არ დაწყებულა და მათ შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდიდით სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენისთანავე.

გთხოვთ, გვაცნოთ იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გამო ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არ იყო ჩართული ასოციაცია "ატუ"-ს, შპს "ბურჯი"-ს და შპს "არომატი"-სათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში.

4. ასევე, ვიმედოვნებთ, რომ თქვენი 2007 წლის 3 ოქტომბრის №05/02-16/2657 წერილის ბოლო აბზაცია არ იყო პასუხი ჩვენს მოთხოვნაზე – ჩაგვრთოთ მომავალში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში – რადგან, ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე არ ქვეყნდება ინფორმაცია სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და არც საჯარო განხილვების შედეგად სახეცვლილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საბოლოო ვერსიები. ამდენად, ვიმედოვნებთ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთვევაში დროულად მივიღებთ თქვენგან შეტყობინებას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და მასში ჩვენი მონაწილეობის პროცედურების თაობაზე.

5. რაც შეეხება ორჰუსის ვეგ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას საჯარო განხილვებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების კომენტირების პროცედურების შესახებ, ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია შენიშვნებისა და კომეტარების წარდგენის ვადის თაობაზე. მაგალითად ქვემოთ ჩამოთვლილ (და არა მარტო ამ) განცხადებებში:

   - შპს "სუპტექ-ცემენტი"-ს დაქვემდებარების ობიექტის "ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროს რეკონსტრუქციის" დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა;
   - შპს "ონდუსტრია კირი"-ს დაქვემდებარების ობიექტის "კირის ნედლეულიდან კირის მიღების ქარხნის" დაგეგმილ საქმიაობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა;
   - შპს "დერინ მეტალ იმპექსი"-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის "ტყვიის სადნობი საამქროს" დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

ასევე, ხშირ შემთხვევაში განცხადებებში არაფერია ნათქვამი შენიშვნებისა და კომეტარების წარდგენის ფორმის (ხელნაწერი, ელექტრონული ვერსია, ზეპირი) და აღრესატისათვის მიწოდების საშუალებების თაობაზე. ასე მაგალითად, უკანასკნელად გავრცელებული განცხადების მიხედვით, გაუკვეველია რა საშუალებებით უნდა მივაწოდოთ მოთხოვნილი წერილობითი შეიშვნები და კომენტარები შპს "ინგეო ტრეიდი"-ს მთავარ ტექნოლოგს, ბატონ გ. იოსებიძეს. განცხადებაში წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა შენიშვნების მოკლე შეტყობინებების სახით მის მობილურ ტელეფონზე გაგზავნა, ან საჩხერის გზატკეცილზე, მდინარე ჯრუჭულასა და ყვირილას შესართავთან დატოვება.

უმორჩილესად გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ სრულად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

დანართი: 7 გვერდი